საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

237-01-01-10-2-202101291435

N 01-01-10/237
29/01/2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2021 წლის 18 იანვრის №09-02-16/2 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №01-01-3/212 ბრძანებით დამტკიცებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულება, რამაც უზრუნველყო აღნიშნული პროცესის სრულყოფილად გამართვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში 2020 წლის მდგომარეობით ირიცხებოდა 37 საწარმო, ხოლო 2021 წლის მდგომარეობით აღნიშნული საწარმოების რაოდენობა განხორციელებული რეორგანიზაციის (შერწყმა, მიერთების გზით) შემდეგ განისაზღვრა 33-ით. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საზოგადოებას შპს „სარემონტო-სამშენებლო სამმართველო“-ს გააჩნდა 16 შვილობილი კომპანია საკუთრებაში, სადაც განხორციელდა რეორგანიზაცია და მოხდა 15 ერთეული შვილობილი საზოგადოების შერწყმა (მიუერთდა) აღნიშნულ საზოგადოებაზე.

ზემოაღნიშნულზე დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს რეორგანიზაცია/პრივატიზაციის პროცესზე საწარმოთა ოპტიმიზაციის მიზნით და 2021 წელში იგეგმება შპს „მინერალი“-ს (ს/ნ: 245428835) ლიკვიდაცია.

დანართი: „6“ ფურცელი.

პატივისცემით,

თორნიკე კუჭავა

მინისტრის პირველი მოადგილე

.